საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუდისისწყალი

გუდისისწყალი, მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, ერედვისა და ჯავის მუნიციპალიტეტებში, ლიახვის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 24 კმ, აუზის ფართ. 91 კმ². სათავე აქვს გერმუხის ქედის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2860 მ სიმაღლეზე. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზაფხულსა და ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 2,66 მ³/წმ.

ი. აფხაზავა